## ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ N2

დ.სტეფანწმინდა 23.06.2016

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N162 24 .12. 2014 წელი.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში კულტურის სახლის მშენებლობის სამუშაოები.

დამკვეთი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მისი გამგებლის, გივი ქირიკაშვილის სახით.

შემსრულებებლი: შ.პ.ს „ჯი- ემ- ჯი" წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ნატროშვილის სახით.

აღნიშნულმა შ.პ.ს-ემ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოგვმართა განცხადებით 2016 წლის 1 ივნისს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადის გაგრძელების თაობაზე. კერძოდ: ხანგრძლივი ზამთრის პირობებიდან გამომდინარე სამუშაოების დასრულება ვერ ხერხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

- ვმოქმედებთ რა, ჩვენდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შევთანხმდით:

- შ.პ.ს „ჯი -ემ- ჯი"-ს გადაუვადდეს სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 27 აგვისტომდე (ორი თვით).

- აღნიშნულთან დაკავშირებით დამკვეთი და შემსრულებელი მივიდნენ დასკვნამდე, შევიტანოთ ცვლილება მუნიციპალიტეტის და შ.პ.ს „ჯი-ემ-ჯი"-ის შორის გაფორმებულ 24.12.2014წ. N162 ხელშეკრულებაში.

- საფუძველი: შ.პ.ს „ჯი-ემ-ჯი"-ს დირექტორის გრიგოლ ნატროშვილის განცხადება და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის N195 ბრძნებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვით განსახორციელებელი სამუშაოების მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა.

- შეიცვალოს ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემული პირობები და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:
- მუხლი 7.პუნქტი 7.1.მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და დაამთავრებს 2016 წლის 27 აგვისტოს.
- მუხლი20.პუნქტი20.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30სექტემბრის ჩათვლით.

- ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავის ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
- წინამდებარე შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად ორი რჩება შემსყიდველთან, ერთი–მიმწოდებელთან

| დამკვეთი | შემსრულებელი |
|---|---|
| ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | შ.პ.ს„ჯი-ემ-ჯი“ |
| ალ.ყაზბეგის ქN1 | მისამართი:თბილისი.ფალიაშვილის N 38 |
| ტელეფონი 595 90 25 46 | ს/კ404398237 |
| ს/კ241499473 | ტელეფონი 599 54 44 91 |
| გივი ქირიკაშვილი | გრიგოლ ნატროშვილი |
| ხელმოწერა | ხელმოწერა |

GEORGIA. MUNICIPALITY OF KAZBEGI
241499473